

შპს ას მეტალოურჯი
ფინანსური ანგარიშგება
2018

სარჩევი:

სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება -----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4
სააღრიცხვო პოლიტიკა -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	9

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება:

სრული შემოსავლისა და მოგების ანგარიშგება	შენიშვნები	12/31/2018
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/მომსახურებიდან		6,118,486.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		4,130,456.00
მოგება		1,988,030.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1	(100,005.00)
სულ საოპერაციო ხარჯები		(100,005.00)
საოპერაციო მოგება		1,888,025.00
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2	35,128.00
სულ არასაოპერაციო ხარჯები		35,128.00
მოგება		1,923,153.00
განაწილებული დივიდენდი	3	(98,105.00)
სულ გაუნაწილებელი მოგება		1,825,048.00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
აქტივები	შენიშვნები	31/12/2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		108,245.00
სავაჭრო მოთხოვნები		1,488,420.00
გადახდილი ავანსები		124,531.00
მზა პროდუქცია		355,204.00
სულ აქტივები		2,076,400.00
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		251,312.00
სულ ვალდებულებები		251,312.00
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		40.00
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,825,048.00
სულ საკუთარი კაპიტალი		1,825,088.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,076,400.00

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის**

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ას მეტალურგი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 10/04/2018), როგორც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, ქუჩა ავტომშენებელი #88 (ნაკვეთი #01/298)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ლითონებით და ლითონის მადნებით.

კომპანიის დირექტორი: ანდრეი ლიაუშინ (MP3569620)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზ) შესახებ კანონის თანახმად, თიზის ტერიტორიაზე მიღებული მოგება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

თიზის შესახებ კანონის თანახმად, თიზის საწარმოს, თიზის ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა

მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოკერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. 1. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(100,005.00)
ბანკის საკომისიო	(25,806.00)
საბუღალტრო მომსახურება	(2,469.00)
სატრანსპორტო მომსახურება	(71,731.00)

1. 2. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	35,128.00
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	78,556.00
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ხარჯი	(43,438.00)

1. 3. განაწილებული დივიდენდი - გაცემული შუალედური დივიდენდი.

განაწილებული დივიდენდი	(98,105.00)
------------------------	-------------

1. 4. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 16 აგვისტოს.

 / Andrei Liaushyn
